ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №292655

ნომერი: AR170487

თარიღი : 01.08.2012

გაცემის თარიღი : 02.08.2012

გაცნობის თარიღი : 17.08.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სტანისლავსკი , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა ჩანტლაძე პ/ნ 01008019357
- თბილისი ი.აბაშიძის ქ.#14, მე-3 სადარბაზო, მე-7 სართული, ბინა 54ა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.06.12 წლის№236360 გადაწყვეტილებითდადგენილსამშენებლოდმიწისნაკვეთისსამშენებლოდმიწისნაკვეთისგამოყენებისპირობებშიცვლ ილებისადადამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 08/01/2012 წ. AN№170487 განცხადებით მომართა ბექა ჩანტლაძემ და მოითხოვა სამსახურის 29.06.12 წლის №236360 გადაწყვეტილებით დადგენილ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ: მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდისა და ფართობის შეცვლა.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 29.06.12 წ. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქალაქ თბილისში, სტანისლავსკის ქუჩა №12–ში

შერეული ფუნქციის მქონე ობიექტის ასაშენებლად №236360 გადაწყვეტილებით დადგინდა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აქტი გაცემულ იქნა 2624 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით – 01/13/05/003/068.

განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: 01.13.05.003.070, რეგისტრაციის ნომერი: 882012384310 - 31/07/2012წ.), რომლის თანახმადაც ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთს შეეცვალა როგორც საკადასტრო კოდი ასევე ფართობი.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ აქტში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.06.12 წლის №236360 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაემატოს 01.13.05.003.070 საკადასტრო ერთეულზე საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882012384310, რეგისტრაციის თარიღი: 31.07.12);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.06.12 წლის №236360 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში მიწის ნაკვეთის ფართობი განისაზღვროს 2289.00 კვ.მ, საკადასტრო კოდი: 01.13.05.003.070;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.06.12 წლის №236360 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.